

კორონავირუსის მულტიმოდალური ანალიზის შესახებ

რამაზ სვანიძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

e-mail: ,ramaz.svanidze@atsu.edu.ge

<https://doi.org/10.52340/lac.2023.30.05>

კორონავირუსმა მთელი მსოფლიოს ქვეყნები დიდი გამოწვევების წინაშე დააყენა და უამრავი ადამიანი იმსხვერპლა. ამ პერიოდს არაერთი საინტერესო გამოკვლევა მიეძღვნა, მათ შორის, ენათმეცნიერულიც. ნაშრომები თემატური მრავალფეროვნებით გამოირჩევა. საშინელი ტრაგედიის მიუხედავად კორონავირუსთან დაკავშირებით ბევრი ხუმრობა გავრცელდა როგორც გერმანულენოვან, ასევე ქართულენოვან მედიასივრცეში. თუმცა, აღნიშნული სტატიის ფარგლებში შემოვიფარგლებით ქართული იუმორის ნიმუშებით. იუმორი თერაპიისა და პრობლემური სიტუაციის დაძლევის კარგი საშუალებაა, რასაც რეციპიენტთა მიერ გაკეთებული კომენტარებიც მოწმობს. ამავდროულად ხუმრობები დიდი კრეატიულობით გამოირჩევა სხვადასხვა დონეზე. შემოქმედებითი მიდგომა მკითხველსაც და მსმენელსაც ესაჭიროება, რათა ამოიცნოს იმპლიციტური შინაარსი. როგორც ჩვენთვის ცნობილია, იუმორი პანდემიის დროს მულტიმოდალური თვალსაზრისით დღემდის ნაკლებადაა შესწავლილი ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში. სტატიაში გაანალიზებულია, რომელი საშუალებებით მიიღწევა ქვეტექსტური კავშირები და კვანძის გახსნა. კვლევის საგანია ვერბალურ და არავერბალურ კომპონენტთა ურთიერთშემოქმედება, ნაცნობი ინფორმაციის ახალ კონტექსტში გადატანა, რეფერენციალური ოპოზიციები, ინტერტექსტუალური მიმართებები. საინტერესოა ასევე, რა ხერხებს მიმართავენ ხუმრობათა ავტორები ლექსიკური თვალსაზრისით იუმორის ეფექტის გასაძლიერებლად, რა ნიშნითაა ეს სიტყვები მარკირებული, გვხვდება თუ არა ინგლისურენოვანი ფრაზები და რა ფუნქციური დატვითვა გააჩნიათ მათ, როგორ ახდენენ ადრესანტები უარყოფითი გამოცდილებისგან დისტანცირებას. თვისობრივი ანალიზის საშუალებით გამოვლინდა, რომელ მულტიმოდალურ საშუალებებს ანიჭებენ ავტორები უპირატესობას ხუმრობებში.

საკვანძო სიტყვები: ხუმრობა, ქართული იუმორი.

კორონავირუსმა მთელი მსოფლიოს ქვეყნები დიდი გამოწვევების წინაშე დააყენა და უამრავი ადამიანი იმსხვერპლა. ამ პერიოდს არაერთი გამოკვლევა მიეძღვნა, მათ შორის, ენათმეცნიერულიც. პანდემიასთან დაკავშირებული ნაშრომები თემატური მრავალფეროვნებით გამოირჩევა: მაგალითად, ჰაბშიაიდმა და ფრიდმანმა გაანალიზეს მერების

კრიზისული კომუნიკაცია [Habscheid/Vogel 2021]. კობმა და ტიორლემ შეისწავლეს ანგარიშები ინტერკულტურულ ჭრილში [Koch/Thörle 2021]. შპისი დაინტერესდა პოლიტიკური კომუნიკაციის საკითხით. [Spieß 2021]. პირადად ვიკვლიე გერმანულენოვან დისკურსში კორონავირუსის პანდემიის მარკერები ლექსიკოგრაფიული და კორპუსლინგვისტური მეთოდების საშუალებით [Svanidze 2021]. გუემ განიხილა შვეიცარიის ფედერალური საბჭოს პრესკონფერენციები და დაასკვნა, რომ იუმორს სხვადასხვა ფაქტორი განაპირობებს [Guhe 2023: 84-85]:

Die humoristischen Momente in den Medienkonferenzen zeigen, dass die Kontrastierung zwischen der Form und den Inhalten, die absurden Themen [...] die humoristische Situationen erzeugen. Diese werden in den unterschiedlichen Beispielen auch durch Lachpartikeln von den Sprecher:innen und/oder dem Publikum initiiert und/oder unterstützt. Auffällig bei der Untersuchung der Konferenzen ist außerdem, dass das Humoristische punktuell, intentional und in der Interaktion mit den Journalist:innen entsteht. Nichtsdestotrotz erzeugen Politiker:innen ebenfalls humoristische Momente, bspw. durch die Thematisierung von Absurditäten. Zusätzlich entsteht, ebenfalls auf der thematischen Ebene, Humor durch den Vergleich mit der epidemiologischen Situation in anderen Ländern. Interessant ist zusätzlich, dass sprachliche Modulationen wie Übertreibungen oder Fiktionalisierungen nicht verwendet werden. Sprechaktivitäten wie Necken, Verspotten, Scherzen auf eigene Kosten oder spaßige Provokationen zeigen sich durchaus in meinen Daten und bestätigen das humoristische und scherzhafte Potenzial.

საშინელი ტრაგედიის მიუხედავად კორონავირუსთან დაკავშირებით ბევრი ხუმრობა გავრცელდა როგორც გერმანულენოვან, ასევე ქართულენოვან მედიასივრცეში. თუმცა, აღნიშნული სტატიის ფარგლებში შემოვიფარგლებით ქართული იუმორის ნიმუშებით. როგორც ჩვენთვის ცნობილია, იუმორი პანდემიის დროს მულტიმოდალური თვალსაზრისით დღემდის ნაკლებადაა შესწავლილი ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში. ამ მხრივ, საინტერესოა ღარიბაშვილის სტატია, რომელშიც ის ინგლისურენოვანი ფეისბუკ-პოსტების ლინგვისტურ მახასიათებლებს განიხილავს [ღარიბაშვილი 2020: 84-85]. შეუძლებელია არ დავეთანხმოთ მკვლევრებს, რომ სიცილს აქვს დადებითი ზემოქმედების ძალა [Kotthoff 2011; შავლაძე 2021] ასევე, საყურადღებოა რევიპიენტთა მიერ გაკეთებული კომენტარებიც.

შემდეგში განვიხილავთ ქართული იუმორის ნიმუშებს ფეისბუკიდან, რომლებიც თავმოყრილია ერთ-ერთ ვებგვერდზე:¹ საქართველოში ყველასთვის ცნობილი სტრიქონები

¹ ხუმრობები ამოღებულია შემდეგი ვებგვერდიდან https://www.kvirispalitra.ge/mozaika/61520-qkoronasi-ra-githkhrath-da-es-khelebis-dabana-qvafsheq-ar-yofila-sashishiq-qkorona-margalitebiq-qarthveli-qfeisbukelebisganq.html?all=1&add_new=0&reply=0#comments, მოძიებულია 2023 წლის 26 ივნისს. ენობრივი ნიმუშები კურსივითაა გამოყოფილი.

„მძულს უგულო სიყვარული, ხვევნა, კოცნა, მტლამა-მტლუმში“ კომბინირებულია შოთა რუსთაველის პორტრეტთან. პირბადიან პოეტსა და მის სიტყვებს შორის ქვეტექსტური კავშირია გაბმული. ახალ კონტექსტში გადატანით ახალი აზრი იქმნება, რომელიც მიუთითებს სოციალური დისტანციის დაცვისა და პირბადის გამოყენების აუცილებლობაზე. სხვადასხვა ვიზუალური და ვერბალური კომპონენტი ორგანულად ერწყმის ერთმანეთს, რაც რეციპიენტზე ეფექტურ ზემოქმედებას უწყობს ხელს. ერთი და იგივე სახელი მიემართება ორ სხვადასხვა ობიექტს, შავი შოკოლადის ფილა „კორონასა“ და კორონავირუსის ბაქტერიას, რაც რეფერენციალურ ოპოზიციას ქმნის. ვერბალური (*შეკვეთა-ჩამოსვლა*) და ვიზუალური დაპირისპირება კომიკურ ეფექტს აძლიერებს. ქართული ხალხური ანდაზა „ზოგი ჭირი მარგებელია“ დიდი სუპერმარკეტებისა და ავთიაქების სლოგანადაა გამოცხადებული. 6 წითელი ფერის ძახილის ნიშანი და მწუხარების, სიბრაზისა და მძაფრი გამონათქვამების გამოხატველი სამი ემოტიკონი ხაზს უსვამს ემოციურ დონეზე მდგომარეობის დრამატიზმს. იისფერ ფონზე წარმოდგენილი თავის ქალები სიცოცხლის სასრულობაზე მიანიშნებს და ქვეტექსტის ზემოქმედებას კიდევ უფრო ამძაფრებს. ბარბარიზმი *მარშუტკა*, ჟარგონული ზმნა *ვიჩალიჩო*, *ირანი-ინფექციური* ქმნის იუმორისტულ სემანტიკურ ქარგას. ამ ხუმრობამ 125 ბოროტი გაღიმება დაიმსახურა. აღსანიშნავია, რომ იმ დროისთვის ჩინეთის შემდგომ კორონავირუსის გავრცელების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ირანის ისლამურ რესპუბლიკაში დაფიქსირდა. საქართველოში კორონავირუსის პირველი შემთხვევაც საქართველოს მოქალაქე მამაკაცს უკავშირდება, რომელიც ქვეყანაში ირანიდან აზერბაიჯანის გავლით შემოვიდა.² სოციალური დისტანცირების ეფექტურ საშუალებად მიჩნეულია *ნიორი*. სხვათა სიტყვის ნაწილაკი ო-ს გამოყენებით *მარა ხუთ მეტრზე არავინ მოგეკარებათო* ავტორი მიანიშნებს, რომ აღნიშნული გამოცდილება მესამე პირის ნათქვამს ეყრდნობა. კუთხური სიტყვა *მარა* სასაუბრო მეტყველების მარკერია. კითხვაზე *როგორ მივესალმობთ ამხანაგებს* პასუხი გაცემულია ინტერტექსტუალობის საშუალებით. ბრეჟნევისა და ჰონეკერის ძმური კოცნის საკულტო ფოტო უარყოფილია, ლენინის დისტანციური მისალმება კი - მიღებული. ხუმრობის ინგლისურენოვანი ტექსტი ხაზს უსვამს პრობლემის ზოგადსაკაცობრიო ხასიათს. აქ აღნიშნულია, რომ ფეისბუქის მომხმარებლის, სახელად კორონა, მიერ გაგზავნილია *მეგობრობის შემოთავაზება*. პროფილის ფოტოდ დადებულია კორონავირუსის ბაქტერია, დადასტურების ღილაკი კი გამუქებულია. აღნიშნული მარკერები იმპლიციტურად მოიაზრებს, რომ შეტყობინების მიმღები დაინფიცირების საფრთხის წინაშეა. ჟარგონული სიტყვა *ვაფშე* ხაზს უსვამს სიტუაციის სარკაზმულობას, რაც კორონასა და პირად ჰიგიენას

² <https://civil.ge/ka/archives/340253>, მოძიებულია 2023 წლის 29 ივნისს.

შორის აბამს სემანტიკურ კავშირებს: *კორონასი რა გითხართ და აეს ხელების დაბანა, ვაფშე არა ყოფილა საშიში*. აღნიშნულმა ხუმრობამ 145 მოწონება დაიმსახურა. ხუმრობის მტერი *ალყაშია, კორონა დაგვნებდა* კვანძის გასახსნელად აუცილებელია როგორც ვერბალური, ასევე ვიზუალური კომპონენტების მთლიანობაში განხილვა. მისაღებ ოთახში განთავსებულ მაგიდაზე შავი შოკოლადის ფილა „კორონა“ წრეზე შემოწყობილ ნივრის ალყაშია, გვერდით დევს ქართული (Jimsher) და უცხოური (ირლანდიური Tullamore D.E.W.) წარმოშობის ალკოჰოლური სასმელები, ასევე წყალი. იუმორს ამძაფრებს ისტერიული სიცილის ემოტიკონი, რომელიც იატაკზე გორავს. შემოთავაზებული ტურისტული მოგზაურობის არსი გაუგებარი იქნებოდა, რომ არ იყოს კონტექსტი გათვალისწინებული. ნაწილისა და მთელის ორმაგი მიმართებით (Pars pro toto/ Totum pro parte) მიღწეულია იუმორისტული ეფექტი: სინექდოხით გადმოცემულია, რომ იტალიაში მოგზაურობა პირდაპირპროპორციულია ინფექციურ საავადმყოფოში განთავსებასთან. ინგლისურენოვანი ფრაზის სემანტიკა *Buy one, get one free!* ფარდას ხდის თითქოსდა მომხიბვლელი შემოთავაზების შეფარულ სემანტიკურ დატვირთვას და რეციპიენტზე ზეგავლენის ძალას უფრო მეტად აძლიერებს. ამ ხუმრობამ 174 მოწონება დაიმსახურა, რითაც აღნიშნული გვერდის რეკორდი დაამყარა. ვერბალური ფრაზის *როცა გაიგე [sic!] რომ კორონავირუსი ბავშვებს არ ემართება* კვანძის გახსნა გადმოცემულია ფოტოთი, რომელიც აღებულია მხატვრული ფილმიდან „პატარა კაცი“ („Little Man“). აქ ნაჩვენებია ბავშვის ტანსაცმელში გამოწყობილი ერთ-ერთი მთავარი გმირი, რაც ნათელს ჰფენს არავერბალურ სიმბოლურ პასუხს. ტაქსის მძღოლი ქართული იუმორისტული დისკურსის საყვარელი პერსონაჟია. ამჯერად ის მგზავრს შემდეგი არჩევანის წინაშე აყენებს: *ლარს დაამატებ თუ დავაფცხიკო?* სიტუაციის დრამატულობიდან გამომდინარე პასუხი ადვილად ამოსაცნობია. რთულ მდგომარეობაზე მიუთითებს ისიც, რომ *სარვამარტოდ ყველაზე სანუკვარ საჩუქრად პირბადეა* მიჩნეული. კითხვის *ინფექციურთან ბინების ფასი უკვე დაეცა?* ქვეტექსტი მიანიშნებს პანდემიის ზეგავლენას უძრავი ქონების მდგომარეობაზე. თელავისა და გურჯაანის სახუმარო ურთიერთობა გადმოცემულია *საზღვრის ჩაკეტვით*, რაც პანდემიური სიტუაციითა განპირობებული. თეთრი შრიფტით წითელ ფონზე დატანილი ვერბალური ტექსტი, ასევე ძახილის ნიშანი ქვეტექსტურად ხაზს უსვამს პაექრობას. ხუმრობა ეკუთვნის ანონიმურ ავტორს *მე [გული] თელავი*. მომხმარებლის სტატუსის *სუ [sic!] თელავია [sic!] ძმაო [sic!]* ლექსიკური სტრუქტურა მიუთითებს თელავის დომინანტურ როლზე. ფარმაცევტის დახმარება ამ მნებედობის ჟამს ყველასთვის აუცილებელია: აღნიშნულ ვერბალურ ტექსტს *ფარმაცევტს ამდენი ნათესავი ჯერ არ ყოლია...* მოსდევს ხუთი პირბადიანი ემოტიკონი. ამ ხუმრობამ 56 მოწონება დაიმსახურა. ადრესანტს მიაჩნია, რომ პრობლემის

ახლებური სახელდებით, კერძოდ, თარგმანით გვირგვინ-სახადი შესაძლებელია კორონავირუსის დაძლევა. კითხვითი წინადადება ამ იმედს ერთგვარ ჩრდილს აყენებს. უნდა აღინიშნოს, რომ კომენტარებში დადებითი ემოციებია დაფიქსირებული.

დასკვნის სახით შესაძლოა ითქვას, რომ იუმორი თერაპიისა და პრობლემური სიტუაციის დაძლევის კარგი საშუალებაა, რასაც რეციპიენტთა მიერ გაკეთებული კომენტარებიც მოწმობს. ამავდროულად ხუმრობები დიდი კრეატიულობით გამოირჩევა სხვადასხვა დონეზე. შემოქმედებითი მიდგომა მკითხველსაც და მსმენელსაც ესაჭიროება, რათა ამოიცნოს იმპლიციტური შინაარსი. სტატიაში გაანალიზებულია, რომელი საშუალებებით მიიღწევა ქვეტექსტური კავშირები და კვანძის გახსნა. კვლევის საგანს წარმოადგენდა ვერბალურ და არავერბალურ კომპონენტთა ურთიერთზემოქმედება, ნაცნობი ინფორმაციის ახალ კონტექსტში გადატანა, რეფერენციალური ოპოზიციები, ინტერტექსტუალური მიმართებები. განხილული იყო ასევე, რა ხერხებს მიმართავენ ხუმრობათა ავტორები ლექსიკური თვალსაზრისით იუმორის ეფექტის გასაძლიერებლად, რა ნიშნითაა ეს სიტყვები მარკირებული, გვხვდება თუ არა ინგლისურენოვანი ფრაზები და რა ფუნქციური დატვითვა გააჩნიათ მათ, როგორ ახდენენ ადრესანტები უარყოფითი გამოცდილებისგან დისტანცირებას. თვისებრივი ანალიზის საშუალებით გამოვლინდა, რომელ მულტიმოდალურ საშუალებებს ანიჭებენ ავტორები უპირატესობას ხუმრობებში. სამომავლოდ საინტერესო იქნება აღნიშნული საკითხის ინტერკულტურულ ჭრილში გაანალიზება.

ლიტერატურა:

1. ღარიბაშვილი, მანანა: სოციალური იუმორის ლინგვისტური გააზრებისათვის. იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომების კრებული. თბილისი: უნივერსალი, 2020. გვ. 80-86.
2. არჩვაძე ეკატერინე: ქვეტექსტი, როგორც მეტყველი სუბიექტის მიზანდასახულობის გამოხატვის საშუალება, ჰუმანიტარულ და პედაგოგიკურ მეცნიერებათა განვითარების ფონდის სამეცნიერო რეფერირებადი ჟურნალი „ენა და კულტურა“, 2020, #24, გვ.15-23.
3. სვანიძე რამაზ: სატელევიზიო ტექსტის სახეობის კონტრასტული ანალიზის შესახებ, ჰუმანიტარულ და პედაგოგიკურ მეცნიერებათა განვითარების ფონდის სამეცნიერო რეფერირებადი ჟურნალი „ენა და კულტურა“, 2021, #25, გვ.57-60.

4. შავლაძე, თეა: კორონა ვირუსის თემაზე შექმნილი მოკლე ხუმრობები და კორონა მიმები - კორონა ვირუსი და იუმორი. 2021. <https://www.bsu.edu.ge/sub-56/page/14932/index.html>, მოძიებულია 2023 წლის 12 ოქტომბერს.
5. Guhe, Sabrina: So witzig wie möglich, so ernst wie nötig: Humor in den Medienkonferenzen des Schweizer Bundesrates im Jahr 2020. In: Linguistik Online 120/2, 2023. S. 65-87.
6. Habscheid, Stephan; Vogel, Friedemann: Eine Krise in der Krise: Corona-Krisenkommunikation von Bürgermeister*innen in Deutschland. In: Zeitschrift für Literaturwissenschaft und Linguistik 51/3, 2021. S. 505-528.
7. Koch, Christian; Thörle, Britta: Vermessung und Vermittlung der Krise in den frühen Lageberichten zur Corona-Pandemie: ein deutsch-französischer Vergleich. In: Zeitschrift für Literaturwissenschaft und Linguistik 51/3, 2021. S. 529-559.
8. Kotthoff, Helga: Alles nur ein Scherz? Über humoristische Diskriminierung. In: Der Deutschunterricht 6, 2011. S. 74-85.
9. Spieß, Constanze: „Dieser Fehler ist einzig und allein mein Fehler“ – Politische Kommunikation im Zeichen der Corona-Pandemie. In: Zeitschrift für Literaturwissenschaft und Linguistik 51/3, 2021. S. 451-475.
10. Svanidze, Ramaz: Zur lexikografischen und korpuslinguistischen Analyse der Corona-Pandemie. In: N. Kakauridse, M. Bornmann (Hrsg.): „Goethe Tage 2021“. Kuttaissi. Band 14. Kuttaissi: ATSU, 2021. S. 174-183.

Ramaz Svanidze

Akaki Tsereteli State University

On the multimodal analysis of corona humor

Abstract

Due to the coronavirus countries in all over the world faced great challenges. Moreover, it led to huge death toll. A number of interesting studies, including linguistic ones, were devoted to this period. The works are distinguished by thematic diversity. Despite the terrible tragedy, many jokes related to the coronavirus spread both in the German and Georgian media. However, within the mentioned article, we will limit ourselves to samples of Georgian humor. Humor is a good way of therapy and overcoming a problematic situation, as evidenced by the comments made by the recipients. At the same time, the jokes are very creative on different levels. A creative approach is required for both readers and listeners to recognize implicit content. As we know, humor during the pandemic from a multimodal point of view is still little studied in the Georgian linguistic literature. The article analyzes the means by which subtext

connections and node opening are achieved. The subject of research is the interaction of verbal and non-verbal components, the transfer of familiar information to a new context, referential oppositions, intertextual relations. It is also interesting to see what methods the authors of jokes use to enhance the effect of humor from a lexical point of view, what signs these words are marked with, whether English phrases are found and what function they have, how addressees distance themselves from negative experiences. Qualitative analysis revealed which multimodal means authors prefer in jokes.

რეცენზენტი: პროფესორი მანანა ღარიბაშვილი